ქ. ბათუმი 09.03.2026

ბრძანება N02-03/05

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ში ორგანიზაციული ცვლილებების, სტრუქტურული რეორგანიზაციისა და თანმდევი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) როგორც საჯარო დაფინანსებით მოქმედი ინსტიტუცია, ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულებები. ამის უზრუნველსაყოფად მაუწყებელმა უნდა დანერგოს მართვის ეფექტიანი სისტემა და ჩამოაყალიბოს ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რედაქციულ დამოუკიდებლობას.

მიზანშეწონილია მაუწყებელში მოქმედი იმ სისტემებისა და პროცედურების ოპტიმიზაცია, რომლებიც დასახული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფენ.

მაუწყებლის მოქნილი სტრუქტურისა და სისტემური, ეფექტიანი მმართველობის ჩამოყალიბების მიზნით, აუცილებელია ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული გულისხმობს შესაბამისი სამსახურების ფუნქციების, დასაქმებულთა უფლება-მოვალეობების ახლებურად განსაზღვრას, მაუწყებლის სტრუქტურის სრულ ან ნაწილობრივ განახლებას, შრომითი პოზიციების გადაადგილებას ან/და შემცირებას.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2025 წლის 15 ივლისს გაცემული N004540225 დასკვნის (წარმოდგენილია N02-26/1678, 16.07.2025 მოხსენებითი ბარათით) თანახმად, მაუწყებლის სარგებლობაში არსებული ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ.N41 მდებარე შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, სახურავი არის ავარიულ მდგომარეობაში, რის გამოც შენობის ავარიულობის ხარისხის დადგენის მიზნით ჩანიშნულია დამატებითი ექსპერტიზა.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ არსებობს შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკები, რაც საჭიროებს შესაბამისი ღონისძიებების დროულ განხორციელებას, კერძოდ, შესამუშავებელია მაუწყებლის ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვისა და განვითარების დროში გაწერილი გეგმა.

ორგანიზაციული ცვლილებებიდან, მაუწყებლის ინფრასტრუქტურის მდგომარეობიდან და არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებელია შეფასდეს მაუწყებლის 2026 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური გეგმა, კერძოდ, არსებული გამომწვევებიდან

გამომდინარე რეალისტურად უნდა შეფასდეს მაუწყებლის შესაძლებლობები, განსაზღვროს პრიორიტეტები და დაკონკრეტდეს გადასაჭრელი პრობლემები.

კანონით გათვალისწინებული ფუნქცია - საზოგადოებას შესთავაზოს პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი პროგრამები და გარანტირებული საბიუჯეტო დაფინანსება - მაუწყებელს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, შექმნას საზოგადოებისთვის ღირებული და საჭირო პროდუქტი. ამასთან საზოგადოებრივ მაუწყებელს ეს რესურსი ანიჭებს პასუხისმგებ-ლობას, რომ არ გადაუხვიოს ამ ძირითად სტრატეგიას.

მოცემული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ცვლილებები შეეხოს სამაუწყებლო ბადეს, კერძოდ შეფასდეს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად ტელე-რადიო პროგრამები და შეფასების შედეგების საფუძველზე შედგეს ახალი სამაუწყებლო ბადე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-ს 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონითა და მაუწყებლის დებულების მე-8 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია მაუწყებელში.
2.მაუწყებელში სტრუქტურული რეორგანიზაციის დაწყებისა და მისი შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ წინასწარ იქნენ გაფრთხილებულნი მაუწყებელში დასაქმებული პირები წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
3.დამტკიცდეს მაუწყებლის ორგანიზაციული ცვლილებების (სტრუქტურული რეორგანიზაციის) გეგმა წინამდებარე ბრძანების N2 დანართის შესაბამისად.
4.დამტკიცდეს ტელე-რადიო პროგრამების შეფასებისა და ახალი სამაუწყებლო ბადის დაგეგმვის კომისიის დებულება წინამდებარე ბრძანების N3 დანართის შესაბამისად.
5.ამ ბრძანებით გათვალისწინებული ორგანიზაციული ცვლილებების განსახორციელებლად შეიქმნას საკონსულტაციო კომისია/დანერგვის ჯგუფი (შემდეგში - ,,კომისია") შემდეგი შემადგენლობით:

[redacted]

6.კომისიის მუშაობის ორგანიზება და მართვა

6.1. კომისიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს კომისიის საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს კომისიის სამუშაო განრიგს;

გ) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს;

დ) მაუწყებლის დირექტორის თანხმობით კონკრეტულ საკითხებზე საკონსულტაციოდ იწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს;

ე) კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგების შესახებ პერიოდულ ინფორ-მაციას/ანგარიშს წარუდგენს მაუწყებლის დირექტორს.

6.2. კომისიის მდივანი:

ა) უზრუნველყოფს კომისიის სხდომის გამართვის ორგანიზებას;

ბ) პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენაზე, სხდომის მასალების შენახვასა და დაცვაზე.

6.3. კომისიის ერთ-ერთი წევრი თავმჯდომარის დავალებით ასრულებს კომისიის მდივნის უფლებამოსილებას მისი არყოფნისას.

6.4. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. ოქმში უნდა აისახოს კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავშეკავების ან მასზე უარის თქმის მიზეზი, აგრეთვე კომისიის წევრის მიერ გამოთქმული ნებისმიერი განსხვავებული აზრი.

6.5. კომისია უზრუნველყოფს:

ა)ამ ბრძანებით დამტკიცებული ორგანიზაციული ცვლილებების გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან, დასაქმებულ პირებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებას, შესწავლას და ანალიზს;

ბ) მაუწყებლის დებულების პროექტის და ორგანიზაციული ცვლილებების გეგმის მომზადებას (პასუხისმგებელი პირი - მარიამ მამულაძე, შესრულების ვადა განსაზღვრულია რეორგანიზაციის გეგმით) ;

გ) მაუწყებლის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტის მომზადებას (პასუხისმგებელი პირი - რაულ ბერიძე, შესრულების ვადა განსაზღვრულია რეორგანიზაციის გეგმით);

დ) მაუწყებლის სამწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მომზადებას, არაუგვიანეს 2026 წლის 11 აპრილამდე (პასუხისმგებელი პირი - მიხეილ ტარახჩევი).

ე) მაუწყებლის ძირითადი ადმინისტრაციული შენობის (ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის ქ.N41) ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საკითხებისა და მაუწყებლის ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვის საორგანიზაციო გეგმის შედგენა (პასუხისმგებელი პირი - რიჩარდ ტოტოჩავა).

7.საკადრო ბაზის განვითარების სამსახურმა (მაგდა ქობულაძე) წინამდებარე ბრძანების გამოცემიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს:

ა) მაუწყებელში დასაქმებული პირების წინასწარი წერილობითი გაფრთხილება (იხ. დანართი N1) რეორგანიზაციის პროცესისა და შესაძლო შრომითი ურთიერთობის ცვლილების/შეწყვეტის შესახებ

ბ) საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსით" დადგენილი წესით (წერილობითი ფორმით) უზრუნველყოს ტელე-რადიო პროგრამის (მხოლოდ შიდა წარმოება), ავტორის, წამყვანის და ტელე-რადიოპროდუქციის შექმნასთან დაკავშირებული სხვა პირების ინფორმირება გარდამავალ ეტაპზე განსახორციელებელი ღონისძიებებისა და მათ მიერ შესასრულებელი შრომითი მოვალეობების შესახებ.

8.იურიდიული მხარდაჭერის სამსახურმა უზრუნველყოს მაუწყებლის მიერ „გარე წარმოების" ტელე-, რადიო-, ვებგვერდისა და სოციალური ქსელებისთვის განკუთვნილი პროდუქციის/მომსახურების შესყიდვის წესის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების მხარეების ინფორმირება, რომ არსებული სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის (2026 წლის 31 მარტი) შემდეგ, მაუწყებლის მიერ აღნიშნული პროგრამების/პროდუქციის შესყიდვა აღარ განხორციელდება.

9.შიდა აუდიტორმა (რამაზ დიასამიძე) უზრუნველყოს, შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარება. აუდიტის მასშტაბად განისაზღვროს: მაუწყებლის მიერ ადამიანური რესურსების მართვის, ბიუჯეტის, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი, დაწესებულების წინაშე არსებული რისკების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, რისთვისაც არაუგვიანეს 2026 წლის 12 მარტამდე წარმოადგინოს შიდა აუდიტის სამსახურის 2026 წლის წლიური კორექტირებული გეგმა და მის საფუძველზე შედგენილი შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა.

10.რისკის მართვის სპეციალისტმა (ზვიად ბერიძე) რეორგანიზაციის პროცესში და მის შედეგად არსებული რისკების პოტენციური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, უზრუნველყოს რისკის იდენტიფიცირება, შეფასება და სათანადო წინადადებების წარდგენა საკონსულტაციო კომისიის/დანერგვის ჯგუფისთვის.

11.ორგანიზაციული ცვლილებებიდან გამომდინარე გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ინფორმაცია/გასატარებელი ღონისძიებების გეგმა წარედგინოს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს არაუგვიანეს 2026 წლის 01 მაისამდე, ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) მაუწყებლის დებულების პროექტი და სტრუქტურა;

ბ) მაუწყებლის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი;

გ) სხვა ორგანიზაციული საკითხები, რომელზედაც გადაწყვეტილების მიღება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით განეკუთვნება სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებს.

12.მაუწყებელში დასაქმებული პირები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ კომისიასთან, საჭიროების შემთხვევაში დროულად მიაწოდონ მათ საქმიანობასთან

დაკავშირებული ინფორმაცია, დოკუმენტაცია, განახორციელონ შესაბამისი სამუშაო, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციული ცვლილებების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

13.წინამდებარე ბრძანება გაცნობისა და აღსრულების მიზნით დაეგზავნოს მაუწყებლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, კომისიის წევრებს, მაუწყებლის თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

14.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30) მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

ირაკლი კიკვაძე

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს
დირექტორის 2026 წლის 9 მარტის №02-03/05 ბრძანების

დანართი N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ში დასაქმებულ პირთა წინასწარი წერილობითი შეტყობინება სტრუქტურული რეორგანიზაციისა და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ

სტრუქტურული რეორგანიზაციის შესაძლო სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს (შემდგომში - მაუწყებელი) დირექტორის 2026 წლის 9 მარტის №02-03/05 ბრძანების („მაუწყებელში ორგანიზაციული ცვლილებების, სტრუქტურული რეორგანიზაციისა და თანმდევი ღონისძიებების განხორციელების შესახებ") მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" 48-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით, გატყობინებთ ამავე კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგების შესახებ:

გაცნობებთ, რომ არაუგვიანეს 2026 წლის 1 ივნისისა, მაუწყებელში განხორციელდება სტრუქტურული რეორგანიზაცია. კერძოდ, მაუწყებლის მოქმედ დებულებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვლება მაუწყებლის ორგანიზაციული მოწყობა, განახლდება არსებული სატელევიზიო ბადე და შეიცვლება ტელე-რადიო პროგრამები (გადაცემები).

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, **გატყობინებთ, რომ რეორგანიზაციის პროცესის ფარგლებში მოსალოდნელია თქვენთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან მისი შეწყვეტა.** კერძოდ, **მოსალოდნელი ცვლილებები შესაძლოა შეეხოს** შრომის ანაზღაურების ოდენობას (შემცირება ან/და გაზრდა), სამსახურებრივ დაქვემდებარებას, შრომით პოზიციას (შიდა მობილობა ან/და უფრო დაბალ ან/და მაღალ შრომით პოზიციაზე გადაყვანა), შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და ტელე-რადიო პროგრამებს.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს
დირექტორის 2026 წლის 9 მარტის №02-03/05 ბრძანების

დანართი N2

მაუწყებლის ორგანიზაციული ცვლილებების
(სტრუქტურული რეორგანიზაციის) გეგმა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს რეორგანიზაციის გეგმა (შემდგომში გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

1.2. გეგმა ადგენს სარეორგანიზაციო სტრუქტურას, რეორგანიზაციის ვადას, გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალს და მის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს.

მუხლი 2. სარეორგანიზაციო სტრუქტურა

2.1. რეორგანიზაცია შეეხება შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობებს:

ა) დირექტორის მოადგილე მაუწყებლობის განვითარების დარგში;

ბ) დირექტორის მოადგილე ტექნიკური განვითარების დარგში;

გ) სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახური;

დ) რადიო მაუწყებლობის სამსახური;

ე) ონლაინ მედიის სამსახური;

ვ) ახალი ამბების სამსახური;

ზ) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახური;

თ) მიმდინარე მაუწყებლობის სამსახური;

ი) მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური;

კ) ფინანსური ეფექტიანობის სამსახური;

ლ) იურიდიული მხარდაჭერის სამსახური;

მ) საკადრო ბაზის განვითარების სამსახური;

ნ) საარქივო სამსახური;

ო) შიდა აუდიტის სამსახური;

პ) მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახური.

ჟ) მაუწყებლის დირექტორის უშალო დაქვემდებარებაში არსებულ შრომით პოზიციებზე დასაქმებულ პირებს.

2.2. რეორგანიზაციის შედეგად იგეგმება შემდეგი ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება (სტრუქტურა დაზუსტდება განხილვების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე):

ა)დირექტორის მოადგილე - ახალი ამბებისა და წარმოების მიმართულებით;

ბ)დირექტორის მოადგილე - მაუწყებლობის განვითარების მიმართულებით;

გ) ადმინისტრაცია - მოიცავს ფინანსური აღრიცხვისა და ანალიზის, სახელმწიფო შესყიდვების, იურიდიულ, საქმისწარმოების, ლოჯისტიკის, არქივისა და შრომის უსაფრთხოების მიმართულებებს/ქვესტრუქტურულ ერთეულებს/პირებს).

2.3. ახალი ამბებისა და წარმოების მიმართულებით დირექტორის მოადგილის სავარაუდო საკურაციო სფეროებია:

ა)ახალი და მიმდინარე ამბები - საინფორმაციო პროდუქციის წარმოების (TV, Radio, Web) მიმართულებებს, ასევე ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ჯგუფს.

ბ)მედია - მიმდინარე მაუწყებლობა, TV და RADIO წარმოება, დოკუმენტური და სატელევიზო ფილმების სტუდია, ახალი მედია და ინოვაციები;

2.4. მაუწყებლობის განვითარების მიმართულებით დირექტორის მოადგილის სავარაუდო საკურაციო სფეროებია:

ა)ტექნიკა და ტექნოლოგიები - ინფორმაციული ტექნოლოგიები, მაუწყებლის ტექნიკური უზრუნველყოფა და განვითარების სფეროს მიკუთვნებული ქვესტრუქტურული ერთეულები/პირი);

ბ)მარკეტინგი და კომუნიკაციები - ტელე-რადიო პროგრამების განვითარება, ბრენდინგი, რეკლამები, ანონსები, მზა პროდუქციის შესყიდვა, საეთერო ბადის მართვის სფეროს მიკუთვნებული ქვესტრუქტურული ერთეულები/პირი);

გ)ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული;

2.5.შიდა მონიტორინგის ჯგუფი - ანგარიშვალდებულია უშუალოდ დირექტორის წინაშე.

2.6. შიდა აუდიტი და რისკების მართვა - ანგარიშვალდებულია უშუალოდ დირექტორის წინაშე.

მუხლი 3. სარეორგანიზაციო ღონისძიებები და ჩატარების ვადა

3.1.რეორგანიზაციის პროცესი დასრულდეს არაუგვიანეს **2026 წლის 1 ივნისისა**.

3.2.რეორგანიზაციის პროცესში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები (სამოქმედო გეგმა):

ა)განხორციელდეს ახალი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განსაზღვრა, მაუწყებლის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტის მომზადება და საჯარო განხილვისათვის წარდგენა არაუგვიანეს **2026 წლის 01 აპრილამდე.**

ბ) მაუწყებლის დებულებასა და 2026 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტის წარდგენა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთვის არაუგვიანეს **2026 წლის 01 მაისამდე.**

გ) მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების დებულებების/თანამდებობრივი ინსტრუქციების პროექტების წარდგენა მაუწყებლის დირექტორისათვის– მაუწყებლის დებულების დამტკიცებიდან **5 სამუშაო დღის ვადაში**.

დ) ფუნქციური ცვლილებების შესახებ თანამშრომელთა ინფორმირება უნდა განხორციელდეს, სტრუქტურული ერთეულების დებულებების/თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცებიდან არაუგვიანეს **5 სამუშაო დღის ვადაში.**

ე) თანამშრომელთა მობილობა/როტაცია/ფუნქციათა კორექტირება დასრულდეს მაუწყებლის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს **10 სამუშაო დღის ვადაში.**

ვ) რეორგანიზაციის შედეგების გამო შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშსწორება კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში.

მუხლი 4. გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები

4.1.გეგმის შესრულებას კოორდინაციას უწევს - საკონსულტაციო კომისია/დანერგვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) მთლიანად ან ნაწილობრივ ახალი სტრუქტურისა და მისგან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების, დებულებებისა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვა შიდაორგანიზაციული სამართლებრივი აქტების შემუშავებას;

ბ) იმ დასაქმებულთა იდენტიფიცირებას, რომელთა პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება შეესაბამება ახალ სტრუქტურაში არსებულ პოზიციებს;

გ) იმ პირთა განსაზღვრას, ვინც უარს აცხადებს მობილობაზე, ვისაც შეიძლება შეუწყდეს შრომითი ხელშეკრულებები ორგანიზაციული ცვლილებების გამო;

დ) თანამშრომელთა მობილობის პროცესის მართვას;

ე) სხვა ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც აუცილებელია რეორგანიზაციის პროცესის კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმართვისათვის.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს
დირექტორის 2026 წლის 9 მარტის №02-03/05 ბრძანების

დანართი N3

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს
ტელე-რადიო პროგრამების შეფასებისა და
სამაუწყებლო ბადის დაგეგმვის კომისიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს (შემდგომში - ,,მაუწყებელი“) ტელე-რადიო პროგრამების შეფასების და სამაუწყებლო ბადის დაგეგმვის კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) შემადგენლობის განსაზღვრის წესს, კომისიის უფლებამოსილებას, მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს და გარდამავალ ეტაპზე განსახორციელებელ ღონისძიებებს.

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა

2.1 კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 3. კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტი

3.1 კომისიის წევრს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, თუ იმავდროულად არის რომელიმე მოქმედი, ან საპილოტე რეჟიმში მყოფი ტელე-რადიო პროგრამის ავტორი, წამყვანი, ან/და რეჟისორი, მისი შრომითი მოვალეობა, დაკავებული პოზიცია პირდაპირ ან/და არაპირდაპირ დაკავშირებულია შესაფასებელი ტელე-რადიო პროდუქციის შექმნასთან.
3.2 კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.

მუხლი 4. კომისიის სხდომა

4.1. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4.2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
4.3. სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.
4.4. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.

მუხლი 5. კომისიის შესასრულებელი სამუშაო

5.1 კომისია **არაუგვიანეს 2026 წლის 11 აპრილისა** ვალდებულია შეაფასოს სამაუწყებლო ბადეში 2026 წლის 09 მარტის მდგომაროებით არსებული ყველა ტელე-რადიო პროგრამა (შიდა წარმოება), შეფასების შედეგების საფუძველზე შეიმუშაოს ახალი სამაუწყებლო პროგრამების ნუსხა და სამაუწყებლო ბადის პროექტი.

5.2. კომისია შეიმუშავებს და დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს:
ა)ტელე -რადიო პროგრამების შეფასების წესსა და კრიტერიუმებს;
ბ)განახლებული სამაუწყებლო პროგრამების ნუსხას და სამაუწყებლო ბადის პროექტს.
5.3. დამტკიცებული კრიტერუმებისა და ვადების მიხედვით კომისია ახორციელებს ტელე-რადიო პროგრამების შეფასებას და შეფასების შედეგებს წარუდგენს დირექტორს. შეფასების შედეგებთან ერთად დირექტორს წარედგინება ტელე-რადიო პროგრამების ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია კომისიის მიერ წინასწარ დადგენილი ფორმის მიხედვით.

მუხლი 6. კომისიის ვალდებულებები და უფლებამოსილებები

6 .1 კომისია ვალდებულია:
ა)გაეცნოს მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის ანგარიშებს და გაითვალისწინოს იგი სატელევიზიო პროგრამების შეფასებისას;
ბ)შეიმუშაოს ტელე-რადიო პროგრამების ხარისხის შეფასების სათანადო კრიტერიუმები;
გ)ახალი სამაუწყებლო პროგრამების ნუსხის შედგენისას დაიცვას სათანადო ბალანსი პროდუქციის შემდეგ **სამ კატეგორიას შორის:** ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენები, კულტურა, შემეცნება, განათლება, ისტორია და ჯანსაღი ცხოვრების წესი, ასევე ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილი პროდუქცია;
6.2. პრიორიტეტული მიმართულებების გარდა, მაუწყებლობის სრულფასოვანი შეფასებისათვის კომისიამ ახალი სამაუწყებლო ბადის შედგენისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი კრიტერიუმებით:
ა)ჯანსაღი ღირებულებები, პროფესიონალიზმი;
ბ)მიუკერძოებლობა;
გ)დაბალანსებულობა;
დ)გამჭვირვალობა;
ე)პასუხისმგებლიანობა;
ვ)საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
ზ)მრავალფეროვანი გადაცემები;
თ)სანდოობა;
ი)სიღრმისეულობა;
კ)ინოვაციურობა;
ლ)შემოქმედებითი მიდგომა;
მ)მაღალი ხარისხი;
ნ)შემეცნებითი ღირებულება;
ო)მომხმარებელთა რაოდენობის ზრდაზე ორიენტირებულობა;
პ)მრავალფეროვანი აუდიტორიის ინტერესებზე მორგება;
ჟ)ტექნიკური გამართულობა.
6.3. კომისია უფლებამოსილია:
ა)გამოითხოვოს და მიიღოს ყველა დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება ტელე-რადიო პროგრამების მიღება-ჩაბარებას, საორგანიზაციო საკითხებს, რეიტინგს, პრომოუშენს,

მაუწყებლის სტრუქტურას, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობებს, ტექნიკური საშუალებების მდგომარეობას, შესყიდვების გეგმას, ბიუჯეტს და ტელე-რადიო პროგრამების წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
ბ)ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები, გასაუბრება გადაცემის ავტორებთან, წამყვანებთან და მის შექმნასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დასაქმებულთან.

მუხლი 7. გარდამავალ ეტაპზე განსახორციელებელი ღონისძიებები

7.1.გარდამავალ ეტაპზე:
ა)2026 წლის 09 მარტიდან შეჩერდეს (მხოლოდ, შიდა წარმოების საფუძველზე მომზადებული) სამაუწყებლო ბადეში განთავსებული ყველა ტელე-რადიო პროგრამის წარმოება;
ბ)მაუწყებლობის განვითარებისა და რადიო მაუწყებლობის სამსახურებმა **არაუგვიანეს 2026 წლის 9 მარტისა** წარმოადგინოს გარდამავალ ეტაპზე მოქმედი საგანგებო (დროებითი) სამაუწყებლო ბადე.
გ)ტელე-რადიო პროგრამების შეფასების პერიოდში ყველა ტელე-რადიო პროგრამის (მხოლოდ შიდა წარმოება), ავტორი, წამყვანი და ტელე-რადიოპროდუქციის შექმნასთან დაკავშირებული სხვა პირები ვალდებული არიან ითანამშრომლონ კომისიასთან;
დ) ყველა ტელე-რადიო პროგრამის (მხოლოდ შიდა წარმოება), ავტორი, წამყვანი და ტელე-რადიოპროდუქციის შექმნასთან დაკავშირებული სხვა პირები, ვალდებული არიან კომისიას მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინონ ინფორმაცია/ხედვა თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს (ხარისხის გაუმჯობესება) და განვითარდეს (შინაარსის განვითარების გეგმა, ტექნიკური განვითარება) გადაცემა მომავალში.

მუხლი 8. დებულების მოქმედების ვადა

წინამდებარე დებულება მოქმედებს რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე.